საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA

KA010133041749512

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40–51–48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40–51–48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№8652

27 / თებერვალი / 2012 წ.

სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო
შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარეს
ბატონ ტატო ურჯუმელაშვილს

ბატონო ტატო,

„კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის შესაბამისად გთხოვთ, გამოაქვეყნოთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საკონკურსო განცხადება კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

დანართი: 8 ფურცელი.

პატივისცემით,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო,
მინისტრის მოადგილე

გიორგი ცხაკაია

საქართველოს
იუსტიციის
სამინისტრო

საკონკურსო განცხადება

ქალაქ თბილისის პროკურატურის ძველი ოფისის და ვაკე - საბურთალოს რაიონული პროკურატურის ოფისის (ქ. თბილისი, დიღომი, რობაქიძის 7, IX და X სართულები)
შიდა სარეკონსტრუქციო სამუშაოების საპროექტო მომსახურების (CPV - 71320000)
სახელმწიფო შესყიდვა
კონკურსის საშუალებით

2012 წელი
თბილისი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1. კონკურსი ტარდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებით დამტკიცებული საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის საფუძველზე.

1.2. კონკურსში მონაწილეობის საფასური:

1.2.1. საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის 19[1] მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით (50 ლარი). საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე (www.procurement.gov.ge).

1.2.2. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

დ)საკონკურსო განაცხადის სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

1.3. ამ ინსტრუქციის 1.2.2 პუნქტით განსაზღვრული მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

1.4. საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა:

- საკონკურსო წინადადებების წარდგენის დღიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.

1.5. დაგვიანებით ან/და საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის გარეშე წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება გატარდება რეგისტრაციაში და გაუხსნელად დაუბრუნდება კონკურსანტს.

1.6. საკონკურსო კომისიის მიერ საკონკურსო წინადადების შეფასება განხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად:

- ხარისხი - კოეფიციენტი 0.80;
- საკონკურსო წინადადების ფასი - კოეფიციენტი 0.20.

საკონკურსო წინადადებების შეფასება განხორციედება 10 ქულიანი სისტემით. კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

1.7. კონკურსთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.8. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის,

პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს საკონკურსო კომისია.

1.9. კონკურსთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

1.10. ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია საკონკურსო განცხადებაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება საკონკურსო წინადადების შესაბამისად.

1.11. პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

1.12. დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაცია შეუძლიათ მიიღონ საკონკურსო კომისიაში:

საკონტაქტო პირი:

- ირაკლი ბალიაშვილი, საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი;
- სოფიო ბარბაქაძე, საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი;

მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა №24ა, ოთახი №304;

ტელეფონი: 240 51 84, 240 51 60.

ტექნიკური დავალება

ქალაქ თბილისის პროკურატურის ძველი ოფისის და ვაკე - საბურთალოს რაიონული პროკურატურის ოფისის (ქ. თბილისი, დიღომი, რობაქიძის 7, IX და X სართულები) შიდა სარეკონსტრუქციო სამუშაოების საპროექტო მომსახურება.

ძირითადი მოთხოვნები:

1. არქიტექტურული ნახაზი და გეგმარებითი ნახაზების შედგენა;
2. შესაბამისი ორგანოებიდან საჭირო ტექ.პირობებისა და საჭიროების შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის მოპოვება;
3. არქიტექტურული და კონსტრუქციული პროექტი (შიდა კედლების რეკონსტრუქცია და შეღებვა, კორიდორებში და ოთახებში დაზიანებული იატაკის შეცვლა, დაზიანებული კარ-ფანჯრების შეცვლა) მიმდინარე რემონტი);
4. ხარჯთაღრიცხვა

შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს **10,000.00 (ათი ათასი) ლარს.**

საპროექტო მომსახურების დასრულება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან არაუგვიანეს **15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის** განმავლობაში.

ობიექტის საჭირო გეგმარებითი გადაწყვეტილების მონაცემები:

IX სართული - 1023 კვ.მ;

X სართული - 1023 კვ.მ;

სულ - 2046 კვ.მ.

კონკურსანმა საკონკურსო წინადადებაში უნდა მიუთითოს:

ა) შესყიდვის ობიექტის ფასი დღგ–ს ჩათვლით;

ბ) ინფორმაცია მიწოდების ვადის შესახებ;

გ) ინფორმაცია ანალოგიური მომსახურების გაწევის თაობაზე;

დ) კონკურსანტის რეკვიზიტები.

ე) ერთიანი პრეზენტაცია, რომელიც შედგება კონცეფციისა და მისი განმარტებისაგან.

კონკურსი ჩატარდება 2012 წლის 2 მარტს 15:00 საათზე.

დაინტერესებულმა პირებმა განცხადება კონკურსში მონაწილების შესახებ და საკონკურსო წინადადება, დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგინონ 2012 წლის 2 მარტს 15:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: 0114, ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა №24ა, ოთახი №304.

3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება კონკურსის ჩატარების შემდეგ. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული კონკურსანტის საკონკურსო წინადადების შესაბამისად.

ქ. თბილისი „--------" „----------" 2012წ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, შემდგომში წოდებული „შემსყიდველი", წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის **გოგა გუგავას** სახით და ---------- შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად", წარმოდგენილი მისი დირექტორის ---------- სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

ქალაქ თბილისის პროკურატურის ძველი ოფისის და ვაკე - საბურთალოს რაიონული პროკურატურის ოფისის (ქ. თბილისი, დიღომი, რობაქიძის 7, IX და X სართულები)
შიდა სარეკონსტრუქციო სამუშაოების საპროექტო მომსახურება(CPV - 71320000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ---------- ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) განახორციელოს ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევა ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან ----- განმავლობაში;

ბ) უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ტექნიკური დავალების შესაბამისად;

გ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად როგორც მომსახურების გაწევის დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

5.2. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნი გაწეულ მომსახურებაში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველთან შეთანხმებულ ვადებში გამოასწოროს წუნი.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ხელშეკრულების ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზრვრული მომსახურების გაწევის ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

9.3. წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.02%-ის ოდენობით.

9.4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. დავების გადაწყვეტა

11.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

14. ფორს-მაჟორი

14.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

14.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი - შემსყიდველს.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო,
წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის
უფროსის **გოგა გუგავას** სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, გორგასალის ქ. №24ა,
ტელეფონი: 240-51-84,
საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №200122900,
სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22,
სკ - 203845349

მიმწოდებელი:

----------,
წარმოდგენილი მისი დირექტორის
---------- სახით,
მისამართი: ----------,
ტელეფონი: ----------,
საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №----------,
----------, კოდი: ----------,
სკ - ----------